

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

ადმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

1 აგვისტო, 2011

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ №75

სხდომის დაწყების დრო 20:00

სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), იმედა დვალაძე, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, ქეთევან ბექაური, იოსებ ბარათაშვილი, ცისმარი ონიანი

დღის წესრიგი:

1. ეთიკის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
2. ასოციაციაში გაწევრიანება;
3. ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) საქართველოში ვიზიტის (20 სექტემბერი- 1 ოქტომბერი) შესახებ საკითხი;
4. ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის განცხადების განხილვა

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ეთიკის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დამტკიცდეს სხდომაზე დასახელებული კანდიდატების სახით:

1. ეკატერინე გასიტაშვილი (ეთიკის კომისიის წევრი, პირველი დისციპლინური კომისიის თავმჯდომარე);
2. დავით კაკაბაძე (ეთიკის კომისიის წევრი, მეორე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარე);
3. ემზარ პაქსაძე (ეთიკის კომისიის წევრი, მეოთხე დისციპლინური კომისიის თავმჯდომარე);

4. კობა ბოჭორიშვილი (ეთიკის კომისიის წევრი, მეხუთე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარე);
5. ცირა შუბითიძე (ეთიკის კომისიის წევრი, მესამე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარე);
6. ირაკლი კორძაძია (ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);
7. ზვიად კორძაძე (აღმასრულებელი საბჭოს წევრი);
8. იოსებ ბარათაშვილი (აღმასრულებელი საბჭოს წევრი);
9. ზაზა ბიბილაშვილი (აღმასრულებელი საბჭოს წევრი);
10. გონა სვანიძე (აღმასრულებელი საბჭოს წევრი);
11. დავით ასათიანი (საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის);
12. გიორგი ტურაზაშვილი (ეთიკის კომისიის ყოფილი თავმჯდომარე);
13. ეკა ბესელია (ეთიკის კომისიის ყოფილი თავმჯდომარე);
14. ქეთევან ქვარცხავა (ეთიკის კომისიის ყოფილი წევრი);
15. ციციწო ცხვედიანი (ეთიკის კომისიის ყოფილი თავმჯდომარე);
16. ირინა ლორთქიფანიძე (ევროკომისიის პროექტი “კანონის უზენაესობა”);
17. კახა კოყორიძე (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია);
18. ელენა ფილეევა (კონსტიტუციის 42-ე მუხლი);
19. ირაკლი შონია (იურიდიული დახმარების სამსახური);
20. ანა ლორია (ABA - ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია), სათათბირო ხმის უფლებით;
21. გიორგი ჩხეიძე (JILEP-მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი) სათათბირო ხმის უფლებით.

დასახელებული 21 კანდიდატიდან, ორი კანდიდატი ანა ლორია (ABA - ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია) და გიორგი ჩხეიძე (JILEP-მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი) მიღებულ იქნან ეთიკის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით;

2. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით; ასევე დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწევრიანებაზე;

საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას მელანო გაბიანის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე და ამავე კანონის 21² მუხლის, 8 პუნქტის (მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი: ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება) საფუძველზე და წევრობის შეჩერების შესახებ მისი განცხადების თანახმად, მელანო გაბიანს გაწევრიანებისთანავე შეუჩერდეს ასოციაციის წევრობა.

ზაზა ხატიაშვილი

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე